# ცნობის ფურცელი

№ 2067 ოთხშაბათი, 12 თებერვალი **1896—1903** ყოველ-დღიური გამოცემა № 2067

**გაზეთის ფასი:** წელიწადში—6 მან., ცალკე ნომერი—3 კაპ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით" პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ.
**ხელის-მოწერა** და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე"-„ცნობის ფურც." რედაქციის კანტორაში ბანკის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქაშვეთის ეკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели"-„Моамбе". ტელეფონი № 372.

**ეკატერინე სტეფანეს ასული, სტეფანე მიხეილის ძე კაკალოვები** და **პეტრე იოსების ძე უმიკაშვილი** მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს გარდაცვალებას პირველი დისას, მეორე მამიდისას და მესამე დეიდის

**სოფიო სტეფანეს ასულის დუნაევსკისას.**

გამოსვენება იქნება ტფილისის მიხეილის საავადმყოფოდან კუკიის კათოლიკეთა ეკლესიაში ოთხშაბათს, 12 თებერვალს, დილის 10 საათზე. (2—2)

---

წარმოდგენა მე-87. ტელეფონი 617

## ქართული თეატრი

ხუთშაბათს, 13 თებერვალს, 1903 წელს.

◆ **უკანასკნელი წარმოდგენა** ◆

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება

**ვალერიან გუნიას საბენეფისოდ**

პირველად ორი ახალი პიესა

I

## დარღვეული კერა

პიესა 3 მოქმ. ნაიდენოვის დრამიდან გადმოქართულებული ვალ. გუნიას მიერ.
(ამ პიესისთვის შეკეთილია ახალი დეკორაციები)

II

## სიძე-სიმამრი

მხიარ. კომ. 3 მოქ. ვ. გუნიასი (გერმანულიდან)

**მონაწილეობას იღებენ:** ქ-ნნი: ნ. გაბუნია-ცაგარლისა, ნ. გამყრელიძისა, ალ. კარგარეთელი, ოლ. ლეჟავა. ბ. რიონელი, ბ. როსტომიანი, ე. ჩერქეზიშვილისა; ბ-ნნი: ვ. აბაშიძე, დ. აწყურელი, ვ. გუნია, ს. სვიმონიძე, კ. შათირიშვილი.

**ადგილების ფასი ჩვეულებრივი. დასაწყისი საღამოს** 8 **საათზე.** რეჟისორი **ვ. გუნია.**

---

## ტფილისის კერძო სამკურნალო

**ზედგინიშვილისა.**

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე,

**დილით:**

**ვ. ი. ჟიჟინაძე**—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

**ნ. ტ. მულინი.** ყურის, ყელის და ცხვირის 9—10.

**გ. დ. ლამბაშიძე**—შინაგანი: ორშაბათობით, ოთხშაბ. და შაბათობით 10—11 ს.-მდე.

**გ. ვ. მაღალაშვილი**—შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით, ხუთშაბათობით.

**ი. პ. ახალშენიშვილი**—კბილის სნეულებანი 10—11 საათამდე.

**ლ. ი. ქამოევი.**—საშარდე (ხირურგიული) ავადმყოფ.: სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით 10 საათიდან 11-მდის.

**ა. მუსხელოვი:**—თვალის ავადმყოფობა—ორშ. ოთხშ. და შაბათი $11\frac{1}{2}$—$12\frac{1}{2}$.

**დ. ა. ზედგინიშვილი,** შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.

**მ. მ. მანსვეტოვი.** შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა: კვირაობით 10—12.

**ა. ზ. ბარხუძოვი**—დედათა სნეულებანი: ოთხშაბათობით 12—1 საათამდე.

**ზ. მ. ამბარდანოვი**—სიფილისის, კანისა და საშარდესი 1—2 საათამდე.

**ზრ. მ. ხოგოლევსკი**—ხირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით, პარასკევობით და შაბათობით 1—2 საათ.

**საღამოთი:**

**მ. გ. მაღალაშვილი**—შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 საათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლევა.).

მასაჟის და სამკურნალო გიმნასტიკა": ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით 6 ს.—8 საათ. საღამოს.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახი.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები მორიგებით. კრაოტები—სამ მანეთიდან ხუთამდე.

ადრესი: კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი სვინაშვილისა, № 21. (ავჭალის ქუჩის დასაწყისში). ტელეფონი № 274 (წ.

---

**ექიმი**

## ვ. ლამბაშიძე

იღებს შინაგან და საბავშვო სნეულებით ავადმყოფებს საღამოს 6—7 საათამდე.

ბინა: ბარონის ქუჩა, № 22, დიდი ვანქის ქუჩის კუთხესთან. **ტელეფონი 642**

---

**კბილის ექიმი**

ივანე პავლეს ძე

## ახალშენიშვილი

იღებს ყოველ-დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 საათ. და 11—2-მდის, ხოლო საღამოობით 5—7-დის. კვირა-უქმე-დღეებში 9—2-დის და საღამოთი 5—7-დის.

ელისაბედის ქუჩა, 38. (წლ.

---

**მცირე წლოვან დამნაშავეთა ახალშენის** საზოგადოების გამგეობა, წესდების მე-16 §-ის თანახმად, სთხოვს წევრებს მობძანდნენ **საზოგადო კრებაზე**, რომელიც მოხდება ტფილისის სამოსამართლო პალატაში კვირას, 16 თებერვალს, ნაშუადღევის 1 საათზე.

**განსახილველი საგნები:**

1. ანგარიში 1902 წლის მოქმედებისა; 2) ფულის ანგარიში 1902 წლ.; 3) მცირე წლოვანთა ახალშენის ანგარიში 1902 წლ.; 4) შემოსავალ-გასავლის აღრიცხვა 1903 წლ; 5) სარევიზიო კომისიის მოხსენება 1902 წლის ანგარიშისა და 1903 წლის აღრიცხვის გამო; 6) გამგეობის ოთხის წევრისა, იმათის კანდიდატებისა და სარევიზიო კომისის წევრთა არჩევა; 7) ი. დ. მალალაშვილის დამტკიცება ახალშენის დირექტორის თანამდებობაზე.

შენიშვნა: საზოგადო კრება კანონიერი იქნება, თუ 20 წევრი მაინც დაესწრო. (2—2)

---

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება" ამით აცხადებს, რომ გარდა უკვე გამოცხადებულის აგენტებისა („ცნ. ფ." 8 თებ. გვ. 4), რომელნიც არჩეულ იქმნენ აგენტებად 1902 წელს, საზოგადოების აგენტებად ითვლებიან შემდეგი პირები, რომლებიც არჩეულნი არიან წინად:

1) **ქუთაისში:** თავ. კირილე ბეჟანის ძე ლორთქიფანიძე, სიდოვან თომას ძე ხუნდაძე, თომა აბრამის ძე მთავრიშვილი, სამსონ გიორგის ძე ყიფიანი; 2) **საჩხერეში:** თ. ბეჟან დავითის ძე წერეთელი; 3) **ლეჩხუმში:** თ. ქაიხოსრო გელოვანი; 4) **ზუგდიდში:** ბესარიონ ჭიჭაძე; 5) **სიღნაღში:** ზაქარია იოელის ძე ნაცვლიშვილი; 6) **ბორჯომში:** ნიკოლოზ დავითის ძე აბაზაძე; 7) **განჯაში:** ელენე ალექსანდრეს ასული აბულაძისა; 8) **დუშეთში:** აბელ იაშვილი; 9) **ცაგერში:** მიხეილ მოსეს ძე მღვდლიშვილი; 10 **ყარსში:** ირაკლი ლუკას ძე ბაქრაძე.

(2—2)

---

## საზღვარ-გარედ

**საფრანგეთი.** ვალდეკ-რუსომ წერილი გაუგზავნა კატოის ადვოკატს რუსოს. ვალდეკი სწერს რუსოს: ზოგიერთი თქვენი ნათქვამი სასამართლოში სწორე არ იყო; მე, ვალდეკმა, ჯერ კიდევ წარსულ წლის მარტში ვურჩიე ვალეს—იმ დროს კატოის ვექილად იყო—ემბერებზე საჩივარი შეეტანა; მინდოდა, მთავრობას საბუთი მისცემოდა, ემბერების წინააღმდეგ საქმე დაეწყო. მაგრამ საჩივარი მარტო მაისში შეიტანეს; ამის შემდეგ სასამართლოს მოხელეებმა ემბერების განთქმული შკაფი ასის მილიონის მემკვიდრეობით გახსნეს კიდეცაო.

ნაციონალისტურ გაზეთებს ვალდეკ-რუსოს წერილი ძლიერ ესიამოვნათ. აი პირველ მინისტრად ნამყოფმაც კი გაილაშქრა იუსტიციის ეხლანდელ მინისტრზეო, მაგრამ ვალდეკ რუსომ ხელად დაარღვია ნაციონალისტების აზრი... ვალდეკმა დასწერა: „მე ვიცოდი, რომ ვალე ძლიერ აშურებდა საჩივრის შეტანას, მაგრამ კატოიმ დააგვიანა. ეგეცაა, რომ კატოის ადგილას, სხვა უფრო გამბედავ კაცსაც კი გაუძნელდებოდა ემბერებზე საჩივრის შეტანა".

◆ საფინანსო კანონ-პროექტის განხილვის დროს პალატაში ოპპოზიციამ მოითხოვა, შემოსავლის გადასახადი დავაწესოთო. ფინანსთა მინისტრმა რუვიემ სთქვა: საფრანგეთის ფინანსები ეხლა ისეთ ყოფაშია, რომ მაგ რეფორმის მოხდენა შეუძლებელიაო. ჟორესმა გამოაცხადა: „ამ შემთხვევაში ფინანსთა მინისტრს მივემხრობით, რადგან ოპპოზიციამ თავისი წინადადება მარტო იმ აზრით შეიტანა, რომ მთავრობა გაჭირვებულ ყოფაში ჩააგდოს. მაგრამ ეხლანდელი მთავრობა ძლიერ შესცდება, თუ ოპპოზიციის ხრიკებით ისარგებლებს და გადასახადების რეფორმას დააგვიანებს. პალატის უმეტესობას სწადიან, ეს რეფორმა ეხლანდელ მთავრობის შემწეობით მოახდინოს, მაგრამ სამინისტრო თუ უმეტესობის სურვილს არ შეასრულებს, მაშინ პალატა იძულებული იქმნება ეს რეფორმა უიმისოდაც მოახდინოს" (მარცხენა მხარე იწონებს).

ბოლოს პალატამ 344 ხმის უმეტესობით 215 ხმის წინააღმდეგ დაადგინა ოპპოზიციის წინადადება კომისიას გადაეცესო.

**ინგლისი.** მუშების უსაქმობას ლონდონში ბოლო არ ელება. წარსულ შაბათს ტრაფალგარის სკვერში მუშებმა დიდი კრება მოახდინეს. რამდენიმე ათასი უსაქმო მუშა დაესწრო კრებას. წესიერების დასაცველად 400 პოლიციელი იყო დანიშნული. მანიფესტანტები ლონდონის ყოველ კუთხიდან მუზიკითა და ბაირაღებით მოვიდნენ. ბაირაღებზე ეწერა: „უსაქმო მუშები არსებობის უფლებას თხოულობენ", „ერთად-ერთი იმედი სოციალიზმია", „რეფორმები თუ დაგვიანდა—რევოლიუცია დაიწყება" და სხვ. პარკში მოსული მანიფესტანტები ნელსონის ძეგლთან შეიკრიბნენ. ორატორები ძეგლის საფეხურზე ავიდნენ და კაპიტალიზმის წინააღმდეგ მედგარი სიტყვები წარმოსთქვეს. ბოლოს კრებამ რეზოლიუცია დაადგინა და მოითხოვა, მთავრობამ შემწეობა გაუწიოს უსაქმო მუშებსაო. მანიფესტანტებმა უსაქმო მუშების სასარგებლოდ ფული შეჰკრიბეს და მერე მშვიდობიანად დაიშალნენ.

**ავსტრო ჰუნგრეთი.** ავსტრიის რეიხსრატმა სამხედრო კანონ-პროექტი კიდეც დაამტკიცა, ჰუნგრეიის ოპპოზიცია კი დღესაც ძლიერ წინააღმდეგობას უწევს ამ კანონპროექტს და ობსტრუქციაზე ხელს არ იღებს. ყოველ დღე ადრესები მოდის ამომრჩევლთაგან ᲓᲐ ყველა ადრესებში პროტესტს აცხადებენ ჯარის მომატების წინააღმდეგ. სელის სამინისტრო ბიუჯეტის დამტკიცების შემდეგ პარლამენტის დათხოვნას აპირებდა, რომ მერე დელეგატები თავის დროზე შეკრებილიყვნენ, მაგრამ იმედი გაუცრუვდა და ეხლა სცდილობს ოპპოზიციას როგორმე მოურიგდეს. ჰუნგრეთის პარლამენტის თავმჯდომარემ დამოუკიდებელ პარტიის ვიცე-პრეზიდენტი ტოტი სათათბიროდ მიიწვია: უნდოდა გაეგო, თუ რა პირობით დასთანხმდება ოპოზიცია სამხედრო კანონ-პროექტის წინააღმდეგობაზე ხელი აიღოს. ტოტმა გადაჭრით გამოაცხადა: ჩემ პარტიას სულ არ უნდა ეს კანონ-პროექტიო. ამბობენ, ვითომ სამხედრო მინისტრს ბარონ ფეიერვარის ეთქვას: მთელი სამინისტრო მეთანხმება ამ საქმეში და რაც უნდა ეცადოს ოპპოზიცია, სამხედრო კანონ-პროექტი უსათუოდ დამტკიცებული იქმნება. ხმა დადის, შეიძლება ჰუნგრეთის პარლამენტი დაითხოვონო.

◆ **ბოლგარია.** მთავრობამ მაკედონიის ყველა კომიტეტები დაითხოვა და იმათი უმთავრესი წინამძღოლები დააპატიმრა. ოპოზიციის წევრი ტაკევი ამის თაობაზე მთავრობას შეკითხა საერო კრებაში. პირველმა მინისტრმა დანევმა მოკლედ უპასუხა: მინისტრების საბჭომ დაადგინა, მაკედონიის კომიტეტები უნდა მოისპოსო. ტაკევმა მიუგო: თქვენმა პასუხმა არ დამაკმაყოფილა და ამ საქმეზე ცალკე ქაღალდს შემოვიტანო. ყველა დატუსაღებულნი თურმე ზომიერ დასს ეკუთვნიან. სარაფოვმა და იმის თანაშემწეებმა დროზე მოასწრეს ბოლგარიიდან გაქცევა.

## ახალი ამბავი

◆ ტფილისის ქალაქის მოურავის თანამდებობაზე კანდიდატებად ასახელებენ კ. მ. ალიხანოვს და თავ. ნ. ვ. არღუთინსკი-დოლგორუკოვს.

◆ ორშაბათს ღამით გარდაიცვალა მიხეილის საავადმყოფოს უფროსი ექიმი ა. ა. ზაგლოგსკი. ბევრი იცნობდა ჩვენში განსვენებულს და უფრო მეტსაც გაგონილი ჰქონდა ამ პატიოსან მოღვაწის სახელი, რომელსაც ყველანი დიდის პატივისცემით იხსენიებდნენ. განსვენებული ცნობილი იყო ჩვენში, როგორც ექიმი-პსიხიატრი. დიდი ხანი უფროსობდა და ჰმართავდა გიჟების საავადმყოფოს, სადაც ბევრი ღვაწლი მიუძღვის ახლად მიცვალებულს, რომელიც სულ იმის ზრუნვაში იყო, რომ ყოველის მხრით შევიწროებული საავადმყოფო როგორმე გაეუმჯობესებინა და იმდენი ეცადა ახალი ზარაკებიც გააკეთებინა აქ. ავადმყოფებსაც სიყვარულითა და დიდის ყურადღებით ექცეოდა.

ამას გარდა ახლად განსვენებულმა პირველმა აღძრა მთელი ჩვენი ქვეყნის სულით ავადმყოფთათვის საერთო საავადმყოფოს აშენების საკითხი. დიდ-ხანს ძნელდებოდა ამის განხორციელება, მაგრამ საქმე მაინც იქამდე მივიდა, რომ ასეთის საავადმყოფოს დაარსება უკვე საბოლოოდ გადაწყვეტილა, მხოლოდ ადგილი ვერ აურჩევიათ ჯერ და კომისია ამის კვლევაშია.

მერე მიხეილის საავადმყოფოს უფროსობა მიიღო განსვენებულმა და აქაც ისეთივე დაუღალავი შრომა და კაცთ-მოყვარეობა გამოიჩინა, როგორისაც ჩვეული იყო ყველასათვის საყვარელი ალექსანდრე ანდრეიჩი. აქაც ისეთივე ყურადღება გამოიჩინა ავადმყოფთადმი, როგორაც წინად. ერთ დროს კერძო საავადმყოფოც გაჰმართა განსვენებულმა ჩვენს ქალაქში და ბევრსაც ახსოვს, რა გულ-მოდგინეობით ეპყრობოდა აქ მიმსვლელ ავადმყოფთაც. არა მცირე შრომა მიუძღვის განსვენებულს კავკასიის საექიმო საზოგადოებაშიაც, სადაც ის ერთ ხანს თავმჯდომარედაც იყო.

◆ გუშინ, 11 თებერვალს, ამიერ-კავკასიის რკინის გზის უფროსის თანაშემწემ, ბ. აკორონკომ, კავკასიის სასოფლო-სამეუ-

რნელ საზოგადოების საბჭოს წარუდგინა განსახილველად თავისი განსაკუთრებული მოსაზრება იმის შესახებ, თუ კახეთისაკენ რკინის გზის გასაყვანად რომელი მიმართულებაა უკეთესი. ბ. აკორონკო რკინის გზის გაყვანას ამჯობინებს ტფილისიდან იორის მინდვრებზე, ე. ი. იმ გზით, რომელიც რამდენისამე წლის წინად გამოიკვლია ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობამ.

✦ კვირას, 16 თებერვალს, ტფილისის სამოსამართლო პალატის სადგომში დანიშნულია საზოგადო კრება კავკასიის მცირე წლოვან დამნაშავეთა დამხმარებელ საზოგადოების წევრთა. კრებამ უნდა განიხილოს წარსულ 1902 წლის ანგარიში, მიმდინარე წლის ხარჯთ-აღრიცხვა და სხვა., სულ 7 საქმე. ამავე სხდომაზე კრებამ უნდა ამოირჩიოს გამგეობის 4 წევრი.

✦ ამას წინად აღნიშნული გვქონდა, რომ ბელგიის უსახელო საზოგადოებამ 35 მუშა დაითხოვა. ახლა ეს მუშები ისევ მიუღია საზოგადოების წარმომადგენელს, მაგრამ ჯამაგირს, როგორც შევიტყეთ, ჯერ აინც არ უმატებენ.

✦ სახაზინო პალატებს შეჰკითხებია საფინანსო სამინისტრო, რა მიზეზია, რომ დიდძალი გადასახადები რჩება ხალხზე გადაუხდელიო.

✦ ხვალ, 13 თებერვალს, ტფ. ქალაქის გამგეობის სადგომში სხდომა ექნება ქალაქის სასწავლებელთა გამგე კომისიას მიმდინარე საქმეების განსახილველად.

✦ ქალაქის მოურავის მოადგილეს შეკრებილის ცნობებიდან შეუდგენია ამ წლისათვის ნავარაუდები ხარჯთ-აღრიცხვა, რომელიც ამ დღეებში გამგეობამ უნდა წარუდგინოს განსახილველად და დასამტკიცებლად. ამ აღრიცხვით საჭიროა ხარჯები: მთავრობის დაწესებულებათ 15.910 მან., ქალაქის სამმართველოსა და ობოლთა სასამართლოსათვის—152.849 მან. სამხედრო მოსამსახურეთა სადგომების გარდასახადი 131.212 მან., პოლიციის შესანახი—107.295 მან., ცეცხლის მქრობელი რაზმი—22.653 მან. ქალაქის განწყობილებისათვის—243.720 მან. ქალაქის ქონებათა მოვლა და საქმეთა წარმართვა 759.197 მან. აქ არის ნაანგარიშევი ქალაქის ხორცის დუქნების წარმოებაც; სახალხო განათლებისათვის 151.104 მან. საქველ მოქმედო საქმეებისათვის 12.380 მან. საექიმო, სასანიტარო და საბეითალო საჭიროებათათვის—24.158 მან.; ვალების გასასტუმრებლად 342.833 მან. და სხვა, სულ 2.123.974 მან. შარშანდელზე უფრო მეტი 772.888 მანეთით. შემოსავალთან შედარებით ხარჯი მეტია 170 ათას მანეთით. აი, ამას უნდა მოუძებნოს ქალაქმა საშუალება, ან შეამციროს ხარჯები.

✦ ხევსურეთში წლეულ დიდი თოვლი მოსულა. გზა ორ წყალ ზევით ბარისახომდის შეკრულა. პირ-იქითა ხევსურეთში უფრო დიდი თოვლი მოსულა—სიმაღლე ერთ საჟენზე მეტიო.

✦ სოფ. მაღაროსკარის (ფშავში) საზოგადოებაში ყელ ჭირვება გაჩენილა, რომელსაც უმსხვერპლია რამდენიმე მაღაროსკარის სკოლის მოსწავლეც. ამის გამო სწავლა შეწყვეტილა იქ.

✦ ახლად დანიშნულს თიონეთის მაზრის კავკასიაში ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგადოების სკოლების მეთვალყურეს ბლაღოჩინ-მღვდელ მ. კლ. გძელიშვილს ფშავლებისთვის წერა-კითხვის სკოლა გაუხსნია სოფ. ჩარგალში და სწავლაც ამ წლიდან დაუწყია ჯერ ჯერობით ადგილობრივ მღვდელ-დიაკვნის დახმარებით. ამ რიგად ფშავლებს ეს მეორე სკოლა ექმნებათ: ერთი ს. მაღაროს კარში, სადაც მასწავლებლად ჩვენი სახალხო მგოსანი „ბაჩანა“ ირიცხება, და ჩარგალშიც—მეორე. ვუსურვებთ მ. გძელიშვილს მხოლოდ იმას, რომ საკუთარი მასწავლებელი გაუჩინოს ჩარგლის სკოლას, რომლის გახსნაც სულზე მისწრებაა ფშავლებისათვის.

✦ ხვალ, 13 თებერვალს, ტფილისის სამოსამართლო პალატაში განსახილველად დანიშნულია შემდეგი საქმეები: გიორგი იაშვილისა, რომელსაც საზოგადო ფულის მითვისება და გაფლანგვა ბრალდება, სევერიან ჟვანიასი, რომელსაც კაცის მოკვლა და მოკვლის განზრახვის ჩადენა ბრალდება, უშანგ კაკოიშვილისა, რომელსაც კაცის დაჭრა ბრალდება, და სხვ.

✦ თელავის მაზრის სოფელ წინანდალიდან გვატყობინებენ, რომ იქ ცეცხლი გაჩენია საუფლისწულო მამულში არსებულ ბოჭკების ქარხანას. თუმცა ყოველივე საშუალება უხმარიათ, მაგრამ ცეცხლი ვეღარ ჩაუქრიათ. საუფლისწულო უწყებას ცეცხლისაგან 6100 მან. ზარალი მისვლია.

✦ როგორც გვატყობინებენ, გორის მაზრაში, სოფელ მონასტრის ახლო, უნახავთ ამ სოფლის მცხოვრების გიტა ცხოვრებაშვილის ცოლის გვამი; საბრალოს გზა დაბნეოდა და ტყეში გაყინულა.

✦ გორის მაზრის სოფელ სნეკვიდან გვწერენ, რომ იქ ამ დღეებში შემდეგი უბედურება დატრიალებულა: ამ სოფლის მცხოვრების 14 წლის ყმაწვილი, ფირუზ ბოსიკაშვილი, უეცრად ჭკუაზე შეშლილა; მოუვლია ხელი ხანჯლისათვის და დაუჭრია ამავე სოფლის მცხოვრებთა ბავშვები—11 წლის ქალი ეკატერინე კოშიკაშვილისა და 6 წლის ელისაბედ ბოსიკაშვილისა. დაჭრილი ბავშვები კარგა ხნის ტანჯვის შემდეგ გარდაცვლილან.

✦ 1-ლ ვაჟთა საკვირაო სკოლა მომავალ შაბათს სალიტერატურო დილას გამართავს ვაგზალის სასადილოში. ამ სკოლაში მოსწავლეთა გუნდიც იმღერებს.

✦ იმ კომისიას, რომელმაც სახლებზე დარჩენილ ქალაქის გადასახადთა პატიების საქმე უნდა განაგოს, თავისს თავმჯდომარედ აურჩევია ი. ს. ადიხანოვი.

✦ მოგვივიდა ჟურნალ „ჯეჯილ“-ის მე-II ნომერი, რომელშიაც მოთავსებულია შემდეგი:

მგელი და იშხივარი, პოლონიური ზღაპარი—თორნიკესი. დედის ცრემლები, ლექსი—დ. თომაშვილისა. კაცის ძალა, ზღაპარი, ჩაწერილი—ლადი ლოლუასაგან. კეთილი ანგელოზი, ინგლისური ზღაპარი—ალ. ნათაძისა. ჭკვიანი ძაღლი (თარგმანი). მეფე და მათხოვარი (თარგმანი)—მღვ. ბეს. ვაშაძისა. მეფუტკრე იგავი—ალ. მირიანაშვილისა. როგორ მიმდინარეობს ქვეყნათ ცხოვრება (შემდეგი)—კოტე ელიოზიშვილისა. ფოლადი, ლექსი—აკაკისა. ბოროტი კუზიანი (თარგმანი)—თომასი. პირამი და თისბა ოვიდიუსიდან—ა. ყუმისთაველისა. ძველი ისტორია ერნესტო ლავისისა. ეგვიპტელები (თარგმანი). რომელ ჩვენ მეფეს ეძახიან აღმაშენებელს და ან რათ დაარქვეს ეს სახელი?—ვლადიმერ მეტრეველისა. წვრილმანი.

✦ პოლიციის მე-10 ნაწილში, 9 თებერვალს უნახავთ უგრძნობლად დაგდებული ვიღაც უცნობი კაცი. პოლიციელებს ეტლში ჩაუსვამთ და წაუყვანიათ მიხეილის საავადმყოფოში, მაგრამ იგი გზაშივე გარდაცვლილა. ვინაობა ამ კაცისა ჯერ ვერ გამოურკვევიათ.

✦ 9 თებერვალს, 1 ნაწილის პოლიციის მოხელეებმა დააპატიმრეს ტფ. მოქალაქენი დავით ტოროსოვი, დ. ისაევი და სარქის ოჰანეზოვი, რომელთაც ნაძალადევში მოუპარავთ სხვისი ცხვრები, დაუკლავთ და ხორცი ნაძალადევის აგურხანებში დაუმალავთ, ხოლო ტყავი თავიანთ ბინაზე წაუღიათ.

## რუსეთის ქრონიკა

✦ ბოლო ხანში, როგორც სატახტო ქალაქებსა, ისე პროვინციებში მრავლდება სხვა-და-სხვა დაწესებულება მუშა-ხალხისათვის. სხვათა შორის არსდება მუშათა კლუბებიც. ამგვარი კლუბი ახლა გაუხსნიათ დონის როსტოვშიაც მუშა-ქალებისათვის. კლუბში თავდაპირველადვე 187 წევრი, მუშა-ქალი, ჩაწერილა. კლუბში, რომლის დამაარსებელია „ახალგაზდა ქალების სამზრუნველო საზოგადოება“, იკითხავენ პოპილიარულ ლექციებს, მოაწყობენ სისტემატიურ კურსებს მეცნიერების ამა თუ იმ დარგისას, გამართავენ წარმოდგენებს, კონცერტებს, საცეკვაო საღამოებს და სხვა. კლუბში მხოლოდ ქალებს მიიღებენ.

✦ „ნოვ. ვრ.“-ს სიტყვით, სამხედრო სამინისტროს განზრახვა აქვს დააარსოს თავად-აზნაურთა შვილებისათვის კადეტთა სკოლები ხუთის წლის კურსით; ამ სკოლების პროგრამა შეფარდებული იქმნება კადეტთა კორპუსების პროგრამასთან ისე რომ, სკოლის კურს-დამთავრებულს შეუძლია სწავლა კორპუსში განაგრძოს; ხოლო, თუ არ მოისურვებს, შეუძლია საიუნკრო სასწავლებელში შევიდეს. განზრახვა აქვთ, ამგვარი სკოლა ყოველს გუბერნიაში გახსნან; ხაზინა კისრულობს ხარჯის ორ მესამედსა და შენობის აგებას, ასე რომ თვით სკოლამ ხარჯის 1/3 უნდა იკისროს.

✦ ამას წინად დეპეშამ გვაცნობა პეტერბურგიდან ისაკის სობოროში მომხდარ ქურდობის ამბავი; ახლა „ნოვ. დნ.“ გადმოგვცემს ამის შესახებ შემდეგს: 6 თებერვალს, დილის 5 ს. 30 წ., სობოროს დარაჯებმა გააღეს ტაძრის კარები და ჩვეულებრივ დაათვალიერეს ტაძარი; ამ დროს მათ შენიშნეს, რომ მაცხოვრის დიდი ხატის შუშა გატეხილია; აღმოჩნდა, რომ ხატის შესამოსიდან მოპარული იყო ერთი დიდი ბრილიანტი, რომელზედაც ამოჭრილი იყო ასოები I, A და H; აგრეთვე ბრილიანტის სამეფო გვირგვინი ამ ასოებზე. დარაჯებმა იმ წამსვე დაჰკეტეს კარები და შეატყობინეს პოლიციას. მოვიდნენ პროკურორი, გამომძიებელი და პოლიცია. რადგან კარები დაკეტილი იყო და ფანჯრებიც მთელი გამოდგა, ჰფიქრობდნენ, რომ ქურდი იქვე ტაძარში უნდა იყოსო; ალბათ, წინა ღამეს, ლოცვის შემდეგ, მიიმალა და დარჩა ეკლესიაშიო. ბეჯითად დაათვალიერეს მთელი ტაძარი, მაგრამ ვერავინ აღმოაჩინეს. წირვა-ლოცვის დროს შუშის გატეხა და ბრილიანტის ამოძრობა შეუძლებელია, ასე რომ სრულიად გაუგებარია, როგორ და ვინ ჩაიდინა ქურდობა. მოპარული ბრილიანტები 75 ათას მანეთზე მეტი ღირს. იმავე დღეს ტაძარი დაათვალიერა იუსტიციის მინისტრმაც. დაიწყო სასტიკი გამოძიება.

## პრესსა

მიწათ-მოქმედების სამინისტროსთან დაარსდა კომისია, რომელმაც უნდა შეიმუშაოს ღონისძიებანი სამთო-მადნო მუშების მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. ეს გარემოებაც ცხადათ ამტკიცებსო, ამბობს გაზ. „რუსსკ. ვედომ.“, რომ მთა-მადნის მუშების მდგომარეობა ცუდია და საჭიროა განსაკუთრებული ღონისძიებანი დასახმარებლად. კარგა ხანია დავრწმუნდითო, განაგრძობს გაზეთი, რომ მრეწველთა ნებაზე მიშვებული საქმე არ ხეირობს, ამიტომ საჭიროა:

> სახელმწიფოს ენერგიული ჩარევა საქმეში, რათა მოაწესრიგოს მრეწველთა და მუშათა ურთიერთობა და განაკარგოს მუშათა მდგომარეობა; საქმე უნდა დაიწყოს მადნებში სამუშაო დროს შემცირებით.

მეტად ცუდ მდგომარეობაშია, განაგრძობს გაზეთი, საქმე სამთა-მადნო მუშების უზრუნველყოფობისა უბედურ შემთხვევათაგან. თუ მუშა დაშავდა ან მოკვდა მადანში, ჯერ სასამართლომ უნდა გაარჩიოს, ვისი ბრალი იყო, და მხოლოდ მაშინ აკისრებენ მრეწველს მუშის ან მისი ოჯახის უზრუნველყოფობას; ეს-კი ძვირად ჯდება და უმეტეს შემთხვევაში საქმე გაურჩეველი რჩება. ამიტომაო, დასძენს გაზეთი,

> საჭიროა გადასინჯულ იქმნან კანონები მუშების უზრუნველყოფობისა და დაზღვევისა და მიღებულ იქმნან ენერგიული ღონისძიებანი მუშათა და მათ ოჯახთა დასაფარავად ამ მხრით.

შემდეგ გაზეთი აქცევს ყურადღებას იმ გარემოებას, რომ მადნებში ცუდათ არის მოწყობილი საქმე მუშების დაცვისა უბედურ შემთხვევათაგან.

> უნდა გადაისინჯოს ამის შესახები კანონები და გაძლიერებულ იქმნას ტეხნიკური ზედამხედველობა; აგრეთვე საჭიროა მრეწველთათვის მეტი სასჯელი დაწესდეს, თუ მათის მიზეზით დაშავდება მუშა. გარდა ამისა კარგი იქნება, როგორც საფრანგეთსა და ბელგიაშია მიღებული, თვით მუშათაგან შესდგეს ზედამხედველი კომიტეტი, რომლის მოვალეობა იქნება თვალ-ყური ადევნოს მუშების დაცვის კანონების ბეჯით აღსრულებას...

დასასრულ „რუსსკ. ვედომ.“ ამბობს:

> უნდა მოველოდეთ, რომ სამთა-მადნო მრეწველნი, რომელნიც დღემდის უბრალო საურთი-

---

# ფელეტონი

### ძიზიუს ავ-კარზი

— ბალი! ბალი!! ქაა, დაყრუვდა თუ რა დაემართა მაგ აკარაკს. ბალი! ბალდასარ, შე ბებია-მკვდარო?

— ჰამე! ოსან, შენა ხარ, უკაცრაოთ, აღარა მესმის-რა ა ჯანჯალი მუშტრების ჯიჯინში. ტვინის ძაფები დამიწყვიტეს რაღა! რკინის თავი უნდა ჰქონდეს ამათ მოლაპარაკებელს, რკინისა! აი, ამისთანა გაძაღლებულ ვაჭრობასაც კი რა ვუთხრა! კატროენი რაბოტა მირჩევნია, იმარიუს გიდენ!..—მძიმე ამოოხვრით გამოელაპარაკა დუქნიდან ფარდაგზე მოკეცილი მეწვრილმანე ბალია ზორბა წამოსადევე, შაოსან დალალ-ოსანას, რომელიც შუა-გზაში იდგა იდლიაში ბოღჩა-ამოჩრილი.

— მაიტანე ქალაქიდან მე და შენ რო ვიცით?—შეეკითხა ბალიას ჯან-გაუტეხავი დედაბერი ოსანა.

— მაშ არ მოვიტანდი, შე კაი ადამიანო! ისიც მოვიტანე და კაი ახალთ ახალი თრიაქ-ფარუხიც, ავაჯუაც, მუმიაც, ყუნტუს-ყაირიც, დევი-სისხლიც, თეზაპიც, ვერცხლის წყალიც, ლახოსტაკიც, ფლუსტაკიც, საფლარათო ზეთიც, ჯოჯოხეთის ცეცხლიც, ხინაც, ბევრნაირი კაპლებიც და, რა ვიცი, აბა რომელი ერთი ჩამოგითვალო ხელ-დახელ! სხვაგან არა იყიდო-რა წამლეულობა, თორემ ძალიან მაწყენინებ და ჰამაც ჩემსავით იაფად და პირიანად არავინ მოგცემს, იცოდე, ჰაა!

— ქა, სხვაგან რაღასა ჰქვიან, შე ქრისტიანო! მეჩქარება, გამოგივლი, მშვიდობით! თავის დაქნევით გამოემშვიდობა ოსანა და გაბრუნდა.

— მშვიდობა მოგცეს ღმერთმა! აბა შენ იცი, როგორც ჩაპთაღლაპიშამ შენ მუშტრებს!—გაამხნევა ბალიამ.

— იმისი ცოცხალთ იციან, მკვდარს სით უზმენ თავსაო!—პირ-მოუბრუნებლად უპასუხა მიმავალმა ოსანამ და ამოუშვა აქლემური იორლა.

— უი, ამოგაგდოს ჩემმა წმინდა გიორგი-წამებულმა, კაი ჩაფარხანა დედაკაცი შენა ხარ!

— დედაკაცი კი არა, ხმალ-ამოღებული ყაზახია, ეგ ამოსაწყვეტი!

— უი, ამაიფხვნას მაგისი თავ-ტანი, ცხენიან კაცს გადმოაგდებს, რო მაიწადინოს, იგეთი დედამიწა-გასახეთქი რამ არის!—ალაპარაკდნენ ბალიას მუშტრები მანდილოსნები.

— ქვრივ-ოხერი დედაკაცი მაგნაირი ყოჩაღი უნდა, რომ იცხოვროს და ობლებიც აცხოვროს, მაშ, ვა!—გაეძრახათ ბალია.

— ი რაღა წამალი იქნება, ნეტავი მითხრა, „მე და შენ რო ვიცითო“, ოსანამ რო ვითხრა?—შეეკითხა ბალიას ცნობის-მოყვარე მანდილოსანი და დანარჩენი მანდილოსნებიც სმენად გადაიქცნენ.

— ის წამალი სეკრეტნი წამალია, ნათლიდედ.

— ქა! დედაკაცი დავბერდი, ჩემი ხნისა ქვაც აღარა გორავს და და ეკლეტნი წამალი ჩემ დღეში არ გამიგონია. დაჰლახვრათ ღმერთმა, რას არ გამაატყვრენენ ყე ი წინწალ-გასაქრობლები! კარგი-და, რასა ჰშველის ახლა ი ეკლეტნი წამალი?

— არ ითქმის-მეთქი რაღა, ვა! ხლუპუზი გამოვა.

— გვითხარ, გვითხარ, ბალიავ, აგრემ შაგრჩება ი კუნწულა მარგალიტივით დახატული ცოლ-შვილი! გაგვაგებინე, იქმნება კარგი რამ იყოს და ჩვენც ვიყიდოთ, მადლია შენთვინ,—შეეხვეწნენ მანდილოსნები.

— მაშ კარგი, გეტყვით: უშვილობის წამალია.

— ი მეხი და მუდგარი კი ჩავარტყი და ჩავართხლიშე ი ტანტრაბუცა თავში მაგი მამგონს! ბარემ უშვილობის წამალი დაეძახნა სახელათ, რო ყველას ადვილათ გაეგო.—უკმაყოფილოდ წამოსთქვა დედაბერმა და დაუმატა:

— ქა, მეც არ გავკვირდი: ე ეკლეტნი წამალი რაღაა-მეთქი. უშვილობის წამალი ხო დღეს თითქმის ყველამ იცის სოფლებში. იქ არი ი ვირის-ბალბა და ლაშქარა, ფასი არ ეხარჯებათ და პატივი. შენი ეკლეტნი წამალი რა შავ ქვათ უნდათ, შენ ხო მუქთად არავის მისცემ.

— მართალია, მაგრამ, ახრა ის ემე, იმით რო ბევრნი იხოცებიან და ეს წამალი კი არავის მოჰკლამს.

— ვინ იცის, შენი ტრაკა-ტრუკი რა დასაჯერია, იქმნება ეგ უარესი იყოს! ე უშვილობის წამალი რო ყველგან გახშირდა ქამასოკოსავით, რატო შვილიერობის წამალი-კი არ მოგაქვთ, თქვენ გასანაშავნო და გასაბრაჰტავნო. ეს ამოდენა უშვილო დედაკაცები რო ქვეყანას ცოდვით ავსებენ.

— ისიც მოვიტანე, კვიწინაურო, ისიც!

— იიი! დაიკარგე მაინდააამ! ვის ატყუებ, ბიჭო, შე მზენელო, ვისა!—სიცილით უპასუხა ბალიას შებუზრებულმა დედაბერმა კვიწინაურმა.

— ვაა! ესტი მატყარა, ტო! ერთი აქ უყურეთ-და, არ კი გატყუებ, მართალს გებნები-მეთქი, ქრისტეს მადლმა, არც ეხლა დაიჯერებ, შე ბებია მკვდარო!

— ჰაი ნეტავი შენი დღეგძელობით მართალს მეუბნებოდე, შვილო, და ყველაზე წინ მე ვიყიდი იმ წამალს ჩემი შვილიშვილი გაიანესათვინ, აგეი შექნათლიანი

ერთი დაზღვევის კანონის აღსრულების წინააღმდეგნიც იყვნენ, ენერგიულად წინააღუდგებიან ყველა ახალ ღონისძიებათ, რომელნიც მათგან მატერიალურ მსხვერპლს მოითხოვენ. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ მიწათ-მოქმედების სამინისტროსთან დაარსებული საგანგებო კომისია ყურადღებას არ მიაქცევს მრეწველთა აგიტაციას და დაუყოვნებლივ შეიმუშავებს პროექტს მუშათა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

# თეატრი

გასტროლი ქალ. ვ. კომისარჟევსკისა. ქალბ. კომისარჟევსკისამ, უეჭველია, ქალბ. სავინას მიბაძვით, თავის საბენეფისოდ დასდგა სუდერმანის ახალი პიესა „საკითხი". შინაარსი პიესისა სრულიად მარტივი და ჩვეულებრივია. სერგეი ბოლოტოვს (ზვეზდიჩი) ჰყავს ქალი ვარია (კომისარჟევსკაია). ცოლი ბოლოტოვმა განაძევა, რადგან ქმარს ატყუებდა. ეს მოხდა მაშინ, როდესაც ვარია სრულიად პატარა იყო, ასე რომ არც კი ახსოვს დედა. ვარია, პიესის მოქმედების დაწყების ერთის წლის წინად, მამისავე სახლში გაიცნო სტუმრად მოსულმა მურატოვა (რადინი), რომელმაც დაიმონა ახალგაზდა ქალის გული, მაგრამ დაქორწინებამდე არ მივიდა საქმე, რადგან პიესის ავტორს სათანადო შემოაკლდებოდა და აბა პიესა რაღა პიესა იქმნება, თუ მომქმედნი პირნი არა სტანჯა. მურატოვი წავიდა პეტერბურგში (სცენა სოფელშია), მაგრამ ერთი წლის შემდეგ ისევ ამავე სოფელში მივიდა. ამ დროს ბოლოტოვს სხვა სტუმარი ჰყავდა, ესეც ახალგაზდა კაცი რატიშჩევი, რომელსაც ერთ კვირაზე შეუყვარდა ვარია. საქმე კეთილად დაბოლოვდებოდა, რომ მურატოვი არ მოსულიყო. მოვიდა მურატოვი, დაიბადა ეჭვი, ცილობა. მურატოვი უფრო გარყვნილი, ავი აზრებისაა, რატიშჩევი კი კეთილი და პატიოსანი (სასულიერო აკადემიაში შევიდა უნივერსიტეტის გათავების შემდეგ და სამღვდლოდ ემზადებოდა, იმდენად ღვთის მოყვარე იყო!). რასაკვირველია, კეთილმა ბოროტი უნდა სძლიოს. სუდერმანმაც ასე გაათავა. მოცილეობამ დუელამდე მიიყვანა საქმე და, თუმცა, როგორც თვითონ რატიშჩევმა სთქვა, თავის დღეში ხელში დამბაჩა არ აუღია, ხოლო მოცილე მურატოვი კარგი მონადირე და, მაშასადამე, კარგი მსროლელიც, მაგრამ მაინც კეთილმა მოჰკლა ბოროტი. მაგრამ სიკეთისათვის სიკეთე ვის უქნია, რომ ვარიას გადაეხადნა მადლობა. ზევით დამავიწყდა მეთქვა, რომ დუელის მიზეზად რატიშჩევმა ხელზე დაიხვია ის გარემოება, რომ მურატოვმა ვარია მოატყუა და ისარგებლა ქალის უმანკოებით. ამაში თითონ ქალი გამოუტყდა რატიშჩევს „სიმართლისათვის". ეს იმ დროს მოხდა, როდესაც ერთმანერთს სიყვარული გამოუცხადეს და საქმე უნდა გათავებულიყო დაქორწინებით. ახირებული ხასიათი და შეხედულება ჩაუნერგა სუდერმანმა ვარიას. უკანასკნელს და მურატოვს ერთმანერთი შეუყვარდათ, შეყვარების შედეგიც საგრძნობელი იყო, მურატოვი ემუდარებოდა შერთვას, ქალმა კი, სიმართლის მიმდევარმა, ამას უარი უთხრა და რატიშჩევი აიყოლია! დავუბრუნდეთ ისევ უმადურობას. რატიშჩევმა ხომ რაინდულად დაიცვა ვარიას პატიოსნება და დუელში მოჰკლა მურატოვი, ვარიას ნამუსის ამხდელი. სადა სამართალია, ვარიას მადლობა უნდა გადაეხადნა რაინდ-გმირისათვის და მისთხოვებოდა, მაგრამ ნუ იფიქრებთ! გაიგო თუ არა ეს ამბავი, სწვდა საწყალ რაინდს და სული ამოართვა „სიმართლის" მთქმელმა და პატიოსანმა ვარიამ მურატოვის მოკვლისათვის. რა უფლება გქონდა, ჩემ დაუკითხავად რომ იბრძოდიო. ნეტავი ავტორის გულში ჩამახედა და გამაგებინა: მურატოვს რომ მოეკლა რატიშჩევი, მაშინაც ამას ათქმევინებდა ვარიას? ეს მოკლე შინაარსი გახლავთ გძელი, გაჭიანურებული პიესისა. გამოვტოვეთ პიესის დანარჩენი მომქმედნი პირნი, რადგან მოქმედებათა განსაცხოველებლად არიან ესენი. რად დაარქვა პიესას „საკითხი" აი საკითხი? უნდა ეწოდებინა „კითხვა-პასუხი", ანუ „კალმასობა", ანუ „კატეხიზმო". მთელი პიესა სავსეა კითხვა-პასუხით სხვა-და-სხვა ტემაზე: ერთი ეკითხება—რა არის სიყვარული? მეორე ჰხსნის რა არის ანტიქრისტე? რა არის სიცოცხლე, სიკვდილი, პატიოსნება, სიმართლე, ცხოვრება და ამისთანეები. საზოგადოება რამდენჯერმე ისმენს ამაების პასუხს. . აა ამისთანა პიესა წარმოადგინეს და აწამეს მოთამაშენიც და ხალხიც. მოთამაშენი ბევრს ეცადნენ, ბევრი შრომა დასდეს საზოგადოების დასაკმაყოფილებლად. მაგრამ არა მგონია მადლობელი დარჩა ვინმე ამ გაჭიანურებულ კითხვა-პასუხით. თეატრი ძალზე გაწბილი იყო.

## ტფილისის «მამათა» დარბაზიდან

საქმე ქალაქის მოურავის არჩევნების შესახებ.—სახელოსნო სასწავლებელის კომიტეტის გაუქმების გამო და სხვა.

10 თებერვალს ტფილისის საბჭოს სხდომას დაესწრო 60-ზედ მეტი ხმოსანი. სხდომის დაწყებისთანავე თავჯდომარემ აცნობა საბჭოს ტფ. გუბერნატორის მოწერილობა, რომ კავკასიის მთავარ-მართებელმა შეუძლებლად დაინახა თავ. ა. მ. არღუთინსკი-დოლგორუკოვის ქალაქის მოურავის თანამდებობაზედ დამტკიცება; გუბერნატორი აგრეთვე სწერდა, რაც შეიძლება, მალე მოახდინეთ არჩევნები ქალაქის მოურავის ახალ კანდიდატისაო. ცოტა ხანს მოლაპარაკების შემდეგ საბჭომ გადასწყვიტა, ქალაქის მოურავის არჩევანი დაინიშნოს ორშაბათს, 24 თებერვლისათვის. დანარჩენი დრო საბჭომ მოანდომა საქალაქო საქმეთა საკრებულოს ერთ დადგენილების განხილვას.

როგორც ვიცით, საბჭომ ტფ. სახელოსნო სასწავლებლის გამგე კომიტეტის არსებობა კანონიერად სცნო, თანახმად საქალაქო დებულებისა. ქალაქის საქმეთა საკრებულომ საბჭოს დადგენილება განიხილა და არ დაამტკიცა იგი, რადგან სასწავლებელთა გამგე კომიტეტის არსებობა უკანონოდ სცნო. ხმ. ეგანგულოვი და სულხანოვი კარგა ხანს ლაპარაკობდნენ ამ საკითხის შესახებ და ითხოვდნენ მიენდოს ამ საქმის განსაჩხრეა საბჭოს განსაკუთრებულს კომისიას, რომელშიაც მიწვეულ უნდა იქმნეს ხმოსანი-იურისტები და რომელსაც უნდა თავჯდომარეობდეს თავ. ვ. მიქელაძე; კომისიამ უნდა შეისწავლოს ყოველ მხრით ეს საკითხი და შეადგინოს ქაღალდი სენატში საქმის განსასაჩივრებლად.

თავჯდომარე შესტაკოვი: საქალაქო საქმეთა საკრებულოს დადგენილება, საქალაქო დებულების მე-103 მუხ. თანახმად, სავალდებულოა ქალაქის გამგეობისთვის და რადგანაც საკრებულოს აზრით კომიტეტი აღარ უნდა არსებობდეს, ვსთხოვ საბჭოს უჩვენოს გამგეობას, როგორ მოიქცეს ამ საქმეში; გამგეობამ იკისროს ფუნქცია კომიტეტისა თუ განსაკუთრებულ კომისიას ამოირჩევთ სახელოსნო სასწავლებლის საქმეთა სამართავადაო. ხმ. ი. სულხანოვი ამბობს: მე განცვიფრებული ვარ იმათის მოქმედებით, რომელნიც ასე სცდილობენ მოსპონ კომიტეტის არსებობა. არ მესმის, რით ხელმძღვანელობენ და რით დაიმსახურა ეს კომიტეტმა?! საკრებულო ამბობს თავის აზრს, საბჭომაც თავისი გამოთქვა და ვიდრე კომიტეტის წესდება შეუცვლელია და ჩვენც მის შესახებ არავითარს გადაწყვეტილს მოსაზრებაზე არ შევჩერებულვართ, არ მესმის, რატომაა საჭირო წამოვაყენოთ საკითხი, ვითომ კომიტეტი აღარც არსებობს. თავჯდომარე აცხადებს, საქალაქო საქმეთა საკრებულოს დადგენილებას გვერდს ვერ ავუხვევთ; ხვალიდანვე სასწავლებელს პატრონი მზრუნველი უნდა, კომიტეტი-კი, საკრებულოს აზრით, გაუქმებულიაო. დოლუხანოვი (პ. მ.) და ნ. ხუდადოვი ამბობენ, ამ საკითხს დღეს ვერ განვიხილავთო, რადგანაც საქალაქო საქმეთა საკრებულო განკარგულებას არ ახდენს, მას მხოლოდ ჩვენი გარდაწყვეტილება უარ უყვია; ვიდრე წესდება არსებობს და სენატს ამაზე გადაწყვეტილი არა უთქვამს-რა, მანამდე კომიტეტს თავისი უფლებები აქვსო. ხმ. ბაბოვი დიდხანს ლაპარაკობს საქმის შესახებ და დასასრულ საბჭოს ურჩევს კომიტეტის მოვალეობა დროებით დაეკისროს ქალაქის გამგეობას. ეგანგულოვი და სხვ. ამბობენ, საჩივარი გავგზავნოთ და უცადოთ სენატის გარდაწყვეტილებასაო. ხმ. ბუდაღოვმა საყვედური გამოუცხადა გამგეობას და სთქვა, რომ თვით გამგეობამ გამოუთხარა ძირი კომიტეტსაო. გამგეობის წევრი თავ. გ. ნ. ჩერქეზიშვილი პროტესტს აცხადებს ბუდაღოვის ასეთის სიტყვების გამო. ხმ. თავ. ბარათაშვილი კარგა ხანს ლაპარაკობს ამ საგანზე და ამბობს, რომ კომიტეტი არსებობს და ყოვლად შეუძლებელია, ვიდრე მისი წესდება შეუცვლელია და ამ საგანზე სენატს არა გამოუთქვამს-რა, კომიტეტის არსებობას ჩვენ შევეხოთო. ხმ. თავ. გ. მ. თუმანოვი ურჩევს საბჭოს შეჩერდეს შემდეგ დადგენილებაზე: გამგეობამ წარმოუდგინოს საბჭოს დასაბუთებული მოხსენება ამ საკითხის შესახებ. ხმოსანთა უმრავლესობამ მიიღო თავ. თუმანოვის წინადადება. ხმოსანმა თავ. მიქელაძემ აღნიშნა, რომ საქალაქო დებულების მიხედვით, სრულიად უკანონო იქნება საბჭოს დადგენილება, რომელიც თავ. თუმანოვმა წარმოსთქვაო. ასეთმა განცხადებამ ისევ დიდი კამათი გამოიწვია; შემდეგ თავჯდომარემ მეორედ დააყენა საკითხი და მაინც უმრავლესობა თანახმა გაუხდა თავ. თუმანოვის წინადადებას. თავმჯდომარემ ამასთანავე სთქვა: ვსთხოვოთ თავ. მიქელაძეს, თუ უკანონოდ სცნობს ამ დადგენილებას, განცხადება შემოიტანოს და შემდეგს სხდომაზედ ხელ მეორედ განვიხილოთ ეს საქმეო. ხმ. სულხანოვის წინადადებით საბჭომ სენატში გასაგზავნ საჩივრის შედგენა მიანდო გამგეობასა და ხმოსან-იურისტებს თავ. მიქელაძესთან ერთად.

დასასრულ საბჭომ ამოირჩია ტფილისის ქალაქის სამხედრო-საცხენოსნო ნაწილების გამგეებად: ი. ი. არღუთინსკი-დოლგორუკოვი, ბ. ს. ბაბოვი, ჰუსეინ ბეკ-ადამოვი ი. კ. გიონოვიჩი, ი. იოსავა, მ. ა. კიუზარიანცი, ი. ი. პეტროსიანი, ა. გ. მელქუმოვი ი. გ. ფურცელაძე, ი. დ. სიროტენკო, ტ. გ. ტერნიკოგოსოვი, ა. ს. ტროშჩინსკი, ი. ს. ცვეტოვი, კ. ტერ-დავითიანცი, კ. პ. შახბუდაგოვი, ს. ს. შუბათიანი და ს. მ. იუზბაშევი, ხოლო მათ თანაშემწეებად: ბეზპროზვანნი, ი. ნ. ბოლოტინი, ი. დრაგუნოვი, მ. კარალოვი, გ. ი. ყაითმაზოვი, კ. ი. მერაბოვი, ი. ე. მაილოვი, ა. ლოსკუტოვი, პ. პ. ლეზინი, მ. დ. ტაგიანცი, ა. თუმიშვილი, ა. სამარინი, გ. ი. რუდოკოვი, გ. ი. იუზბაშევი, ს. მ. ნუნუფაროვი, ა. ნალბანდოვი და ზ. ხოჭოვანი.

# დაბა-სოფლები

**სამტრედია** (იმერეთი). სამტრედიის რკინის გზის დეპოს აქვს საკუთარი სამკითხველო. ამ სამკითხველოს შესანახად ყველა მოსამსახურე იხდის ჯამაგირიდან ფულს, მიუხედავად იმისა, სარგებლობს იგი სამკითხველოთი თუ არა. რა მიზეზით ვერ სარგებლობს ხსენებულ სამკითხველოთი უმეტესი ნაწილი მოსამსახურეთა, ამის შესახებ ჯერ არავის აღუძრავს ლაპარაკი, თუმცა მიზეზი ყველასათვის აშკარაა. ხსენებულ სამკითხველოს საკმარისად აქვს რუსული ჟურნალ-გაზეთები და წიგნები, მხოლოდ ქართული არც ერთი არ მოიპოვება, გარდა ორიოდ გაზეთისა. სამკითხველოს წევრთა უმეტესობას ქართველი მუშები შეადგენენ და ქართული წიგნი-კი წამალადაც არ მოიპოვება სამკითხველოს; ამისათვის იძულებულნი ხდებიან კერძო სამკითხველოს მიჰმართონ და არა იმას, რომლის სასარგებლოდაც ფულს იხდიან. წარსულ წლის დეკემბერში დეპოს უფროსმა განიძრახა ქართული წიგნების შეძენა სამკითხველოსთვის, რამაც ბევრი მოსამსახურე გაახარა, მაგრამ, სამწუხაროდ, კეთილი განზრახვა ჯერ განზრახვადვე რჩება.

როგორც სხვაგან, აქაც ხელოსანთა შეგირდები დიდ წვალებასა და შრომას ითმენენ. აქაური ხელოსნები, პირად ინტერესით გატაცებულნი, სრულებით არა ჰფიქრობენ შეგირდებისათვის. იყვანენ შეგირდებს ხელოსნები 3—5 წლის ვადით. ამ დროს განმავლობაში შეგირდი ოსტატის სრულს უფლებაში იმყოფება. გარდა 6 დღისა კვირაში, როდესაც შეგირდები 18—19 და ხშირად 20

---

მზის მადლმა და ჩემმა ცხონებამ! აბა, მაშ გვიამბე, ბალი, რა ხილია შენი შვილიერობის წამალი: სასმელია თუ საჭმელი?— სიხარულით შეეკითხა დედაბერი კვიწინაური.

დაიწყო ბალიამაც უშვილობისა და შვილიერების წამლების მიღება-მოქმედების თავისებური ახსნა-განმარტება და ის იმოდენა გარ-შემოხვეული მუშტრები-მანდილოსნები ცთლად სმენად გარდაიქცნენ და სულ თითო-თითოთა ჰკენკავდნენ ბალიას გაზვიადებულ სიტყვებს, რომ იმავ დღესვე ელვის სისწრაფით მოეფინათ „ახალი ამბავი" ქიზიყის ქალ-მანდილოსნებისათვის.

—

მოკლედ გაგაცნობთ „ბემურაზი ლალო ხარაზის" ნაცოლარს დალალ-ოსანას, რომელსაც სამი ქალი და ოთხი ვაჟი დარჩა, როცა უგროშ ფულო ლოთი ქმარი მოუკვდა, მაგრამ დალალობით და აქიმობით ქალებიც კაი ქრთამ-მზითევით დაათხოვა გამქრიახე ქვრივმა ოსანამ და ვაჟებიც კაცად აქცია და დააბინავა: ორს სამიკიტნო დუქანი გაუხსნა თავის მონაგარის ფულით და ორსაც თავის ღლიღვა ქმრის ხელობა ასწავლა და ისეთი სახარაზო გაუჩაღა, რომ კალოობაში პირ-დაგდებულ დოს არც კი დაეხვევა იმოდენა ბუზი, რაც იმათ სახარაზოს მუდამ დღე მუშტარი ეხვევა.

დალალ-ოსანა ყოველ დღე ფოსტის ცხენივით დადიოდა დაუღალავად და დადის დღესაც ქიზიყის სოფლებში. რომელ სოფლის უბანშიაც კი ოსანა თავის ვეებერთელა ბოღჩას გახსნიდა, მთელი იმ უბნის ქალ-მანდილოსნები ოსანას გარშემო დაიბადებოდნენ მაშინათვე. რა გინდა სულო და გულო, რომ ოსანას უზარ-მაზარ ბოღჩაში არა ყოფილიყო: სადა, ნაკერი და დაბასმული ლეჩაქები, ბაღდადები, „კასინკები", ქიშმირები, მანდილები, თავ-საკრავები, ლენტები, ჩიხტა-კოპები, სარტყელ-გულის-პირები, ფარჩა-მოის კაბები, „ახალ-მოდნის კურტუშკები", კოვთები, იუბკები, თეთრეულობის „პუჰპუჰები და რიკრიკები", „სნორაკი", ბუზმენტი, წითელი შაიდიში, ფერუმარილი, „დუხები", „პომადები", ხელის საპნები, ნემსები, ქოროცები, „პოგოცები", ღილები, ჩაფარიში, ყაითანი, კევი და სხვა ათასი საქალო-წვრილმანი და ზიზილ-პიპილოები, რომელსაც ყველგან დიდის მოგებით ასაღებდა ვაჭრობაში მოქნილი ოსანა.

ამასთანავე უნდა მოგახსენოთ, რომ დალალ-ოსანა განთქმული აქიმიც იყო და არის დღესაც. ისეთ რა სენსა და კეთროვნებას დაასახელებს ადამიანის ენა-პირი, რომ ოსანამ ყველას არ უთხრას თამამად: „მაგ სატკივრის მორჩენა ხომ ჩვენი პირველი ხელობაა"-ო. დიახ, ოსანა ყოველ-გვარ ავადმყოფს რაღაც ბალახ-ბულახების და მეწვრიმალეების „აფთიაქხანის" წამლების გამონახარშს ასმევდა და ასმევს გულადად არა იმიტომ, რომ მართლა იმ სატკივრისა გაეგებოდეს რამე და ან მისი შესაფერი წამალი იცოდეს, არამედ იმისთვის, რომ უვიც ხალხს ფული გამოსცინცლოს როგორმე.

როდესაც ოსანას ეტყოდნენ ხოლმე გარეშენი: შენი მავანი ავადმყოფი მოკვდაო, „თავშიაც ქვა იკრას და მუცელში სამართებელი იმისმა პატრონმა, ღმერთმა მაგის მეტი დარდი ნუ მომცესო!"—ასე ჰფიქრობდ ოსანა გუნებაში და პირად კი იმას ეუბნებოდა ყველას ამოოხვრით: „ეჰ, დაილოცოს ღვთის განგება და სამართალი, უკვდავ-უბერებელი ვილაა ქვეყანაზე, ყველანი წუთისოფლის სტუმრები ვართო". სხვა რომ არა ვსთქვა-რა, რაც ოსანას ფეხ-მძიმე მანდილოსნები ამოუწყვეტნია შხამიანის უშვილობის წამლის დალევინებით—მთელი ერთი სოფელი გამოვიდოდა.

შუა-კაცობა-მოციქულობასა თუ მაჭანკლობაში ხომ ცალი და ბადალი არა ჰყავდა და არცა ჰყავს დალალ-ოსანას. თვით ჯოჯოხეთის ჩხება-კუდიან ქაჯ ეშმაკების მეფე ტარტაროზსაც კი ნემსის ყუნწში გააძვრენს თავის მოქსოვილისა და მოქარგულ ილენით და ქრისაგან მოტაცებულ ბუმბულივით აათამაშებს ჰაერში თავდაყირა.

—

ნუ იფიქრებთ, რომ დალალ-ოსანასთანა ჯ ნაოზ-აქიმები, ქალნი თუ კაცნი, თითო ორ-ოროლანი იყვნენ ასი ათას მცხოვრებელთა სიღნაღის მაზრაში. ამისთანა აქიმები (ქართველი, სომეხი, რუსი, ურია, თათარი თუ ლეკი) მრავლად ყოფილან და არიან. რაც ეს ორიპენტერე აქიმები წლის-წლობამდის საიქიოდან საიქიოს ხალხს ასახლებენ უდრო-უჟამოდ, იმოდენა ჯამაათს ხორველა და შავი ჭირიც ვერ ამოსწყვეტავდა, დამერწმუნეთ.

ნურც იმას იფიქრებთ, რომ ვითომ იმოდენა წამლებს მარტო ხსენებული მეწვრიმალე ბალია ჰყიდიდეს; არა, ბატონო, ყოველი მეწვრიმალე, ყოველი მკითხავი-აქიმბაში და, ასე გასინჯეთ, ზოგიერთი მიკიტანიც კი დღეს წამლებსა ჰყიდის და ისეთს საშიში წამლებსაც, რომელთაც აფთიაქის პატრონიც კი ვერავის მისცემს ურეცეპტოდ, მაგალითად: თეზაპს (აზოტის სიმჟავე), თრიაქფარუხს (ბანგი, ოპიუმი), ჯოჯოხეთის ცეცხლს (ლიაპისი) და სხვას. ქინაქინის ბადლად ხომ ცინხონინსა და ზოგჯერ სოდასაც ჰყიდიან. ვინ მოსთვლის კიდევ, რამდენ ბოროტ მოქმედებას სჩადიან, ხალხის სავალალოდ და სავაგლახოთ!

ბევრჯელ უჩივლეს აქიმ-ბაშებსა და მეწვრიმალეების „უპრაგონო აფთიაქხანებს, მაგრამ ჩივილი დარჩა „ხმად მღაღადებელისა უდაბნოსა შინა."

მთაშბე.

სათსაც მუშაობენ (ხშირად დილის 4 საათიდან საღამოს 11—12 საათამდე), კვირა-უქმე დღეებშიაც არ არიან თავისუფალნი, რომ სუფთა ჰაერი ჩაჰყლაპონ, სადილად წავიდნენ, მშობლები ინახულონ, ან სამკითხველოში წაიკითხონ რამ. კვირა-უქმეობით შეგირდებმა მთელ კვირას დამზადებული საქონელი უნდა დახმონ, დაამზეურონ, სახელოსნო დაასუფთაონ, ან და ოსტატის სახლში ოჯახის რამე საქმე აკეთონ და სხვ.

**სამტრედიელი**

## წვრილი ამბები

**სიყვარულის შთაგონება.** ამერიკის ერთ-ერთს ქალაქში ვინმე მარტინ კასი ყოფილა, 50 წლისა, და სასამართლოსათვის მიუმართნია, დამიფარეთ ქალბატონ ორმონდისაგან, რომელიც სულ იმის ცდაშია, სიყვარულის ბადეში გამხვიოსო. ორმონდის ქალს გადაჰკრით უთქვამს, მარტინ კასი უთუოდ უნდა შევირთოო. კაცი გულ-ახდილად ამბობს: როცა ქალთანა ვარ, გაგიჟებით მიყვარს და იმის წერილებს ჩემზე საშინელი ზედმოქმედება აქვსო, მაგრამ თუ იმასთან არ ვარ, ან წერილი არ მომდის—საშინელ საზიზღრობას ვგრძნობ იმ ქალისასაო. ჯერ დიასახლისად აეყვანა თურმე კასს ეს ქალი და პირველ დღიდანვე ეგრძნო იმისი ჰიპნოტისმიური ზედ გავლენა. ლამპას სინათლე დაუკლია თურმე, მუხლებზე დააჯდა კასს, თვალი თვალში მაგრად გაუყარა და ჰკითხა: „არ გინდა, განა, ჩემზე ჯვარი დაიწეროო“? კასს უნდოდა უარი ეთქვა, მაგრამ ვერ მოეხერხებინა და თანხმობა გამოუცხადა. „მას აქეთ, როცა-კი განვიზრახავდი ამ ქალის დაშორებას, წამსვე თავისს ადვოკატს მიჰმართავდა, ჩემთვის საჩივარის დასაწყებადო“—ამბობს კასი.

გამოჩენილს ექიმს კემპსტერს სასამართლოსათვის გამოუცხადებია, რომ მარტინ კასი მართლა საკვირველად ვარდება ზედ-გავლენის ქვეშე და თავისის მოქმედებისათვის პასუხის გება არ მოეთხოვებაო. სასამართლომ შეიწყნარა კასის სათხოვარი.

* *

**ინგლისის მეფის მებეგრენი.** ძველადვე მოდის და დღესაც ეკუთვნის მეფეს ის ზუთხი, რომელიც დიდ ბრიტანიაში დაიჭირება. ყოველ წელიწადს მეფეს უნდა მიუვიდეს დანიშნული ბეგარა: ერთი სუფრა, ფასად მანეთ-ნახევარი, ორი თეთრი მტრედი, ერთი თეთრი ყურდღელი, ერთი გირვანქა ზირი, ცხენი თავისის აღვირით, ერთი წყვილი წითელი წინდა, ერთი პალიტოს ბეწვეული, არახჩინი, ორი დანა და სამურველი. თავისს მკერვალმაც ოქროს ქინძისთავი უნდა მიართვას მეფეს ყოველ წელიწადს.

## სასამართლო

### I

(თავდასხმისა და გაძარცვის დაბრალება)

წარსულ წლის 15 აპრილს, ღამით, სიღნაღის მაზრის სოფ. კარდანახის მცხოვრება ივანე გოგებაშვილი და მისი სიძე საჩუღაშვილი ძაღლების ყეფამ გამოაღვიძა. გოგებაშვილი კარში გავიდა და ამ დროს, მისის სიტყვით, სახლში შეუცვივდნენ ამავე სოფლის მცხოვრებნი თავ. მიხეილ ვაჩნაძე და კოლა გომელაური. ერთი კარებთან გაჩერებულა, ხოლო მეორეს, ვაჩნაძეს, შიშისაგან გაფითრებულ მასპინძლებისათვის თოფი დაუმიზნებია და უთქვამს: მოიტათ ფულები, თორემ ეხლავ გაგათავებთო. ბრალდებულებს ბევრის ვერაფრის წაღება მოუსწრიათ და გაქცეულან, რადგანაც ახლო-მახლო მცხოვრებთ საშინელი ყვირილი აუტეხიათ. ამ საქმის გამო პასუხის გებაში მიეცათ თავ. ვაჩნაძე და გომელაური. მოწმეთაგან თვით გოგებაშვილს განუცხადებია, ვაჩნაძეს ეცვა თეთრი ჩოხა და თეთრი ქუდი ეხურაო, გოგებაშვილის ცოლს უჩვენებია შავი ჩერქეზული ჩოხა ეცვა და შავი ქუდი ეხურაო. ხოლო საჩუღაშვილს უთქვამს, თეთრი ჩოხა ეცვა და რუხვი ქუდი ეხურაო.

ეს საქმე, რამდენისამე დღის წინად, გაარჩია ოლქის სასამართლოს სესიამ ქ. სიღნაღში. უმთავრესმა მოწმეებმა სასამართლოში საქმის გამოძიების დროსაც იგივე გაიმეორეს, რაც ეჩვენებინათ გამომძიებლისათვის. ბრალმდებლის მოწმების ჩვენებით-კი გამოირკვა შემდეგი: გოგებაშვილსა და მის ახლო-მახლო მცხოვრებთ მტერობა ჰქონებიათ თავ. ვაჩნაძესთან იმის გამო, რომ მას ნაბარებული ჰქონია დასაცველად გაუყოფელი საგვარეულო ტყე; აღარავის ტყით სარგებლობა არ შეეძლო თურმე. თავ. ვაჩნაძე, ვისაც შეისწრებდა ტყეში, იჭერდა, ცემდა და სასამართლოს საშუალებით ბევრს აჯარიმებდა და სხვ. გოგებაშვილის სახლზე თავდასხმა და გაძარცვა კარდანახის მცხოვრებთა ერთს ნაწილს საბუთად გამოუგონებია იმ განზრახვით, რომ ვაჩნაძე დაესაჯათ და თავიდან მოეშორებინათ. ბრალდებულის დამცველი, თავ. ი. ბარათაშვილი, სასამართლოში მოწმების ჩვენების გარჩევით ამტკიცებდა, რომ თავ. ვაჩნაძესთან ადგილობრივ მცხოვრებთ მტრობა ჰქონდათ და ეს საქმე იმიტომ მოახვიეს თავზეო. კოლა გომელაურს იცავდა მიხეილ ნასიძე.

სასამართლომ, კარგა ხნის თათბირის შემდეგ, გამოაცხადა განაჩენი, რომლითაც უდანაშაულოდ იცნო ორივე ბრალდებული და გაამართლა.

### II

ქუთაისის გუბერნიის ოზურგეთის მაზრის მცხოვრებთ, არსენა და დიმიტრი გოგიტიძეებს ტფ. სამოსამართლო პალატამ, რამდენისამე ხნის წინად, თანახმად ოლქის სასამართლოს გადაწყვეტილებისა, მიუსაჯა ზოგიერთ განსაკუთრებულ უფლებათა ჩამორთმევა და პატიმართა გამასწორებელ რაზმში $1^1/_2$ წლით გაგზავნა; ხოლო აღნიშნულ მაზრისავე მცხოვრებს ივლიანე გოსხაპაშვილს გადაუწყვიტა 6 თვით ციხეში დაპატიმრება. პირველს ორს ბრალდებოდა ფოსტის მოხელეთა ანდრია ივანოვისა და გიორგი მაჭუტაძის გალახვა, ხოლო მესამეს ამ დანაშაულის დაფარვა. სენატს გაუუქმებია პალატის გადაწყვეტილება და დაუვალებია ხელ-მეორედ გარჩევა. გუშინ ეს საქმე განსახილველად დანიშნული იყო პალატაში, მაგრამ, რადგან ერთი მოწმე არ გამოცხადდა, საქმე შემდეგის დროისათვის გადაიდვა.

## დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

10 თებერვალი

**პეტერბურგი.** მარინსკი თეატრში 9 თებერვალს ბენეფისი იყო ბალეტმეისტერის პეტიპასი. დაესწრნენ მათი უდიდებულესობანი.

**ხარკოვი.** ბანკის საქმე. მოწმეების კითხვა გათავდა.

**ჩისტოპოლი.** მეორე დღეა თოვლ-ბუქი მძვინვარებს.

**ვარშავა.** სამოსამართლო პალატის დადგენილებით 1-ლ ივლისიდან ვარშავაში უნდა დაიკეტოს ყველა კანტორა, რომელიც იურიდიულ დახმარებას უწევს ხალხს.

**რომი.** საგეოგრაფიო საზოგადოებამ დიდი ოქროს მედალი მიუსაჯა სვენ გედინს.

**კარლსრუე.** გარდაიცვალა ჰერცოგი ვიურტემბერგისა ნიკოლოზი.

**ფეცი.** საქმეები ჯერ კარგადაა. ტახტის მაძიებელი, როგორც სჩანს, დაჭრილია და რიატების ხალხში იმალება. სამხედრო მინისტრს დიდ-ძალი ჯარი მიჰყავს აჯანყებულთა წინააღმდეგ. ხიაინების ხალხს გამოუცხადებია, დაგმორჩილდებით, მძევლებსაც მოგცემთ—მომავალში მშვიდობიანობა დავიცვათ და სამხედრო ხარჯებიც გიზღოთო. ბრიტანიის ინსტრუქტორი მაკლინი იმ აზრისაა, რომ ტახტის მაძიებლის ძალა გატეხილიაო.

**კონსტანტინეპოლი.** რუსეთ-ოსმალეთის მემორანდუმი გადათარგმნეს ოსმალურ ენაზე და 9 თებერვალს მინისტრთა საბჭო განიხილავს.

**პარიზი.** გაზ. „კორესპონდან. პოლიტიკ“-ში დაბეჭდილია: „რადგან უცხოეთის ზოგი გაზეთი შეცდომით სჯის რუსეთის მოქმედებას მაკედონელთა საქმეებში, საჭიროდ ვსთვლით მოვაგონოთ, რომ პეტერბურგის კაბინეტმა „პრავიტელსტვ. ვესტნიკ“-ში 13 დეკემბერს დაბეჭდილის ცნობებით გადაჭრით გამოაცხადა, რომ იმის ერთად-ერთი სურვილია ბალკანეთში მშვიდობიანობა დაიცვას. რუსეთის მთავრობა ძველებურადვე იმ პოლიტიკას მისდევს, რომ ერთ მორწმუნე ხალხს მფარველობა არ მოაკლოს და ენერგიულად იმის ცდაშია, მშვიდობიანის საშუალებით მაკედონელთა მდგომარეობა გააუმჯობესოს. ამიტომ მაკედონიაში მღელვარების მიმდევარნი მხოლოდ შეუშლიან ხელს რუსეთის მარით საკეთილოსა და სამშვიდობო მოქმედებას, რომელიც იმას ცდილობს, რომ მაკედონიაში წესიერება იქმნეს აღდგენილი“.

11 თებერვალი.

**მოსკოვი.** ეკატერინეს ინსტიტუტის ასის წლის იუბილეის დღეს წირვა გარდაიხადეს. წირვას დაესწრნენ გრაფი პროტასოვი-ბახმეტევი, მოსკოვის ყველა ოფიციალური პირები და ინსტიტუტში ნამყოფი ქალები.

დღეს სტროგანოვის სასწავლებელში მექარხნეებმა თათბირი დაიწყეს მანქანების აშენების საქმის შესახებ.

**კიევი.** 19 თებერვალს ხორბლის დამფქველთა კრება მოხდება. კიევის რაიონიდან 300 კაცი მიიღებს მონაწილეობას კრებაში. კრებაზე ხორბლის დამფქველთა ყოველნაირ საჭიროებაზე მოილაპარაკებენ.

**ვაშინგტონი.** ბოუენს დეპეშით შეატყობინეს, გერმანიისა და იტალიის ესკადრებისაგან დაჭერილი გემები ვენეცუელას დაუბრუნესო.

**შტუტგარდტი.** გაზეთები იუწყებიან, ვიურტემბერგის ჰერცოგს ნიკოლოზს პარასკევს დაჰკრძალნვენ კარლსრუეშიო.

**პეტერბურგი.** კურსკის ვიცე-გუბერნატორი ფონ ბიუნტინგი საზოგადო საქმეთა დეპარტამენტის ვიცე-დირექტორად დაინიშნა.

მე-20 ქვეითა დივიზიის უფროსი გენერალ-ლეიტენანტი გაპონოვი გრენადერთა დივიზიის უფროსად დაინიშნა.

გენერალ-ლეიტენანტი ფლეიშერი მე-20 ქვეითა დივიზიის უფროსად დაინიშნა.

გაზეთები იუწყებიან, ისაკის ტაძარში ბრილიანტების მომპარავი ნოვგოროდში დაიჭირესო. ბრილიანტები ჯერ ვერ იპოვეს.

---

**რედაქტორ-გამომცემელი ლ. ჯაბადარი**

---

## გამოსადეგი ცნობანი

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

15 ოქტომბრიდან 15 მაისამდე

(ფრჩხილებს გარეშ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში-კი—ტფილისისა)

### ა) ტფილისიდან მიდის:

**ბათუმს:**—1) საფოსტო № 3 საღამოს 7 ს. 0ს წ. (8 ს. 18 წ.); 2) სამგზავრო № 5 დილის 8 ს. 50 წ. (9 ს. 48 წ.).

**ბაქოს:**—1) საფოსტო № 4 დილის 11 ს. 5 წ (12 ს. 3 წ.); 2) სამგზავრო № 6 საღამოს 9 ს. 11 წ. (10 ს, 9 წ.); 3) სწრაფი № 20 (სამშაბათობით, პირდაპირ მოსკოვამდე)—დილის 7 ს. 18 წ. (8 ს. 16 წ.).

**ყარსს:**—1) საფოსტო № 7 /71 საღამოს 10 ს 29 წ. (11 ს. 27 წ.); 2) სამგზავრო და საქონლი № 74/75 დილის 11 ს. 30 წ. (12 ს. 28 წ.).

**მიხაილოვოსა და ბორჯომს:**—სამგზავრო № 7 ნაშუადღევის 1 ს. 52 წ. (2 ს. 50 წ.).

### ბ) ბათუმიდან გამოდის:

**ბაქო-ტფილისისაკენ:**—1) საფოსტო № 4 საღამოს 9 ს. 54 წ. (10 ს. 52 წ.); 2) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 50 წ. (8 ს. 48 წ.).

**ყორაპნამდე:** საღამოს 11 ს. 23 წ. (12 ს. 21 წ.)

### გ) ბაქოდან გამოდის:

**ტფილის-ბათუმისაკენ:**—1) საფოსტო № 3 საღამოს 11 ს. 45 წ. (12 ს. 43 წ.); 2) სამგზავრო № 5 ნაშუადღევის 2 ს. 42 წ. (3 ს. 40 წ.).; 3 სწრაფი № 19 (მარტო ტფილისამდე) (პარასკეობით) პირდაპირ მოსკოვიდან მოსული)—დილის 6 ს. (6 ს, 58 წ.).

### დ) ქუთაისიდან გამოდის:

**ბაქო-ტფილისისაკენ:**—ღამის 1 ს. 40 წ. (2 ს. 38 წ.).

**ბათუმისაკენ:**—1) ღამის 3 ს. 10 წ. (4 ს. 8 წ.); 2) ნაშუადღევის 4 ს. 10 წ. (5 ს. 8 წ.); 3) საღ. 6 ს. 40 წ. (7 ს. 38 წ.).

**ყორაპნისაკენ:**—ღამის 3 ს. 10 წ. (4 ს. 8 წ.).

### ე) ფოთიდან გამოდის:

**რიონ-ქუთაისამდე:**—დილის 6 ს. (6 ს. 58 წ.)

**სამტრედია-ბათუმამდე:**—ნაშუადღევის 3 ს. 27 წ. (4 ს. 25 წ.).

**სამტრედია-ბაქომდე:**—საღამოს 10 ს. 49 წ. (11 ს. 47 წ.). და საღამოს 11 ს. 30 წ. (12 . 28 წ.).

---

განცხადებანი

მასწავლებლის სტრუმილოს

საფუტკრესა

და

მეფუტკრეობისათვის საჭირო მასალის მთავარ საწყობში (ტფილისის საბაღოსნო სკოლასთან) დაიკვეთონ მეფუტკრეობის იარაღი, საფუტკრე ყვავილების, თესლი ხელოვნური ფიტი და დადანის სკები ცაცხვის ხისა. თითო ცალი ღირს 7 მანეთად.

(3—32—2)

წიგნების გამომცემელ ამხანაგობის კიოსკში

იყიდება 1903 წლის

კალენდრები

1) კედ. კალენდარი ფასი 40 კ.; 2) საქართველოს კალენდარი გუნიასი—60 კ. უყდოდ და 70 კაპ. ყდით. 3) პატარა ჯიბის კალენდარი—20 კ. 4) ჩარკვიანის გამოც. კედლის კალენდარი 40 კაპ.

შეიძლება ფასდადებით გაიწეროთ: Тифлисъ, Грузинское Издательское Т—во, ლორის-მელიქოვის ქუჩა.

მიიღება ხელის მოწერა 1903 წლისათვის

ყოველ დღიურ გაზეთ

„ცნობის ფურცელ“-ზე

სურათებიანის დამატებით კვირაში ორჯელ

(წელიწადი მერვე)

ფასი გაზეთისა გაგზავნით:

| კავკასიასა და რუსეთში: | საზღვარ-გარედ: |
|---|---|
| 1 წლით—6 მანეთი. | 1 წლით—9 მ. |

წლიურ ფასის განაწილება: ხელის-მოწერისათანავე 4 მან., დანარჩენიც 1-ლ მარტამდე.

ყოველ თვიურ სამეცნიერო და სალიტერატურო ჟურნალ

„მოამბე“-ზე

(წელიწადი მეათე)

ფასი ჟურნალისა

| კავკასიასა და რუსეთში: | საზღვარ-გარედ: |
|---|---|
| 1 წლით—10 მ., 6 თვით—6 მ. 3 თვით—3 მ. | 1 წლით—13 მ., 6 თვით—7 მ., 3 თვით—5 მ. |

ვინც „მოამბეს“ მთელის წლით გამოიწერს, სურათებიანი დამატებანი და „ცნობის ფურცელი“ უფასოდ გაეგზავნება, მხოლოდ ქალაქ გარედ გასაგზავნ ფოსტის ხარჯისათვის უნდა დაუმატონ 1 მან., რომელიც ხელის-მოწერისათანავე უნდა იქმნეს შემოტანილი.

**წლიურ ფასის განაწილება:** პირველად—6 მ. ქალაქ-გარედ მცხოვრებთათვის, და 5 მან. ტფილისელთათვის, 1-ლ მარტამდე—3 მ., 1-ლ აგვისტომდე დანარჩენი.

როგორც „ცნობის ფურცლის“, ისე „მოამბის“ ხელის-მომწერთ პრემიად გაეგზავნებათ

შოთა რუსთაველის

ახალი სურათი,

წი გამომც. ქართველთა ამხანაგობის საფოტოტიპიოში დამზადებული. სურათი ზომით 9×12 ვერშოკი იქმნება. ქალაქ გარედ ხელის მომწერთ 30 კაპეიკი უნდა წარმოუდგინონ რედაქციას სურათის გასაგზავნად. ეს სურათი ცალკე 1 მან. 50 კაპ. ღირება.

ამა 1903 წელს „მოამბე“-ში, სხვათა შორის, დაიბეჭდება რუსთა შესანიშნავ მწერლის ლ. ნ. ტოლსტოის რომანის „ვოინა ი მირ“-ის თარგმანი, „რომის ისტორია“ და სხვა.

**რედაქცია და კანტორა** იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე. **ტელეფონი № 372.**

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Моамбе“ и „Цнобисъ-Пурцели“.

განცხადება

ვაჭრობა ფართლეულობის საქონლით დაბა ყვირილაში რაფიელ ვვილესიანისა.

პატივი მაქვს ვაცნობო შორაპნის მაზრის საზოგადოებას, რომ მაღაზია, რომელიც ყვირილის სადგურის პირ-და-პირ მქონდა, გადავიტანე ზედა ხიდის გვერდზედ.

მაღაზიაში იშოვება ყოველ გვარი ახლად მიღებული კარგი საქონელი. იმედი მაქვს, საზოგადოება უყურადღებოდ არ დასტოვებს ოცდა ათის წლის გაცნობილს მაღაზიას. საქონელი იყიდება დაკლებულ ფასად.

შორაპნის მაზრის საზოგადოების პატივის მცემელი **რაფიელ ვვილესიანი.** (20—10)

Довв. ценз. Тифлисъ, 11 Февраля, 1903 г. ელექტრონის სტამბა წიგ. [illegible] ქართ. ამხ. (Электропеч. Груз. Издат. Т—ва).